F 171
1950

უფასო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებათა
და განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მეცამეტე

№ 7—8 | Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР | 1950 წ.

შინაარსი

1. ბრძანება № 1639, საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 3
2. ბრძანება № 1793, რუსული ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს სსრ სკოლებში 8
3. ბრძანება № 2378, საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების 1949—50 სასწავლო წლის სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შედეგების შესახებ 11
4. ბრძანება № 1881, კოჯრის № 9 საბავშვო სახლის გამოკვლევის შედეგების შესახებ 15
5. ბრძანება № 2250, ცხაკაიას საბავშვო სახლის გამოკვლევის შედეგების შესახებ 16
6. ბრძანება № 1873, ცაგერის საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასელთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების შესახებ გეომეტრია-ტრიგონომეტრაიში 19
7. ბრძანება № 2612, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დაწყებითი სკოლებისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ . . 20
8. ბრძანება № 3510, მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე 1950 წ. ზაფხულის პერიოდში ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ . . 22
9. ბრძანება № 2759, სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის საფინანსო საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ 25
10. ბრძანება № 3073, ზუგდიდის ვაჟთა საშუალო სკოლაში მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში უხეშ დამახინჯებათა შესახებ 29
11. ბრძანება № 4025, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი 31
12. ბრძანება № 4026, გურჯაანის რაიონის ველისციხის საშ. და მოზრდილთა საშუალო სკოლების სასწ.-საღმზრდელო მუშაობის შედეგების შესახებ 35
13. მეთოდური მითითებანი წერითი მუშაობის რაოდენობისა და სახეების შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში არაქართულ სკოლებში . 40

თბილისი—1950

საქართ
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1639

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 1 ივლისი

გავეცანი რა განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიმდინარე წლის მაისში ჩატარებულ შემოწმების შედეგებს საბავშვო სახლების მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ, აღვნიშნავ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 24 თებერვლის № 824 დადგენილების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განათლების სამინისტროს ბრძანებათა საფუძველზე გატარებული ღონისძიებების შედეგად საბავშვო სახლების მუშაობაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები.

საგრძნობლად შემცირდა საბავშვო სახლების გადატვირთვა აღსაზრდელებით და ოროლად წოლის შემთხვევები. საბავშვო სახლების ხელმძღვანელთა და აღმზრდელთა კადრები შევსებულია უფრო კვალიფიციური მუშაკებით. საბავშვო სახლები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან ინვენტარით, საგრძნობლად გაუმჯობესებულია ბავშვთა კვება, მათი მედიკო-სანიტარული მომსახურება და ა. შ.

მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ არიან ისეთი საბავშვო სახლები, რომლებმაც ვერ გარდაქმნეს მუშაობა და დღემდე მრავალი არსებითი ხასიათის ნაკლი ახასიათებს (უწესრიგობა საბავშვო სახლში, ანტისანიტარული მდგომარეობა, არადამაკმაყოფილებელი აღმზრდელობითი მუშაობა და სხვ.).

ასეთ საბავშვო სახლებს ეკუთვნიან პირველ რიგში გეგეჭკორის, კასპისა და გორის საბავშვო სახლები.

საბავშვო სახლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით

ვბრძანებ:

1. დაევალოს საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილებას (უფროსი ამხ. ვ. ი. ჩინჩალაძე):

ა) უმოკლეს ვადაში უზრუნველჰყოს გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის მთლიანად ათვისება და საბავშვო სახლებში თავისუფალი ადგილების შევსება.

ბ) კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა საბავშვო სახლებში არსებული ფართობის მთლიანად და უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის.

გ) უზრუნველჰყოს ახალ სასწავლო წლის დაწყებამდე საბავშვო სახლების პედკადრების (დირექტორების, მოადგილეების, აღმზრდელების, შრომის ინსტრუქტორების) შესწავლა და სუსტი მუშაკების უფრო კვალიფიციური მუშაკებით შეცვლა.

დ) გააძლიეროს პედაგოგიურ-მეთოდური მუშაობა საბავშვო სახლების პედმუშაკთა შორის.

ე) განაგრძოს მუშაობა საბავშვო სახლებთან დამხმარე მეურნეობის მოწყობისა ბაღ-ბოსტნის გასაშენებლად.

ვ) სათანადო ორგანოებთან ერთად დაამთავროს დოკუმენტალური რევიზიის ჩატარება იმ საბავშვო სახლებში, სადაც ასეთი არ ჩატარებულა მიმდინარე წელს და განმეორებით შეამოწმოს ის საბავშვო სახლები, სადაც რევიზიით გამოვლინებული იყო უხეში დარღვევები საფინანსო-სამეურნეო მუშაობაში.

ზ) დაამუშაოს საკითხი და განსახილველად წარმოადგინოს საბავშვო სახლებში შრომითი სწავლების საქმეში საჭირო ცვლილებებისა და აღსაზრდელთა შრომითი აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

თ) განაგრძოს საბავშვო სახლებში მოთავსებულ ბავშვთა დედმამიანობის გამორკვევა და იმ მშობლებისათვის ბავშვთა ჩაბარება, რომელთაც მატერიალური პირობების გაუმჯობესების გამო შეუძლიათ ბავშვების ნორმალური აღზრდა.

ი) უზრუნველჰყოს შრომითი რეზერვების სკოლებისათვის ასაკგადაცილებულ აღსაზრდელთა გადაცემა მიღებული განაწილებისა და წესის მიხედვით.

კ) მოამზადოს საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში დასასმელად სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალ. თბილისის, ახალციხისა და სიღნაღის რაიონების საბავშვო სახლებიდან კერძო მობინადრეებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების გასახლების შესახებ.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალოს ბავშვთა მიმღებ-განმანაწილებლებს:

ა) უზრუნველჰყონ საბავშვო სახლებში მოსაოკსებელ აღსაზრდელთა ასაკის ზუსტად დადგენა.

ბ) ბავშვის ჯანმრთელობის საფუძვლიანი შემოწმება, ყველა საჭირო ანალიზების მიღება და ბავშვების პირად საქმეში შეტანა.

გ) ბავშვის დედმამიანობის, მშობლის ადგილსამყოფელის, ბავშვთა სხვადასხვა დაწესებულებაში ყოფნის დაწვრილებით შესწავლა და სრული დახასიათების მოცემა საბავშვო სახლში გასაგზავნ თითოეულ ბავშვზე.

3. დაევალოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას (უფროსი ამხ. ი. შავიშვილი):

ა) საბავშვო სახლებში რემონტის ჩატარებისას პირველ რიგში გაითვალისწინოს ფართობის გადიდების აუცილებლობა და გამოუყენებელი ფართობების წესრიგში მოყვანა.

ბ) უზრუნველჰყოს საბავშვო სახლების შენობების რემონტის დამთავრება ნორიოში არა უგვიანეს 1 აგვისტოსი, ხოლო დანარჩენ ადგილებში არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა.

4. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს (უფროსი ამხ. უ. ობოლაძე):

ა) უზრუნველჰყოს ბავშვთა ტექნიკური სადგურის გახსნა კოჯორში მომავალი სასწავლო წლის დასაწყისიდანვე.

ბ) 1951 წლის გეგმაში გაითვალისწინოს ბავშვთა ტექნიკური სადგურის გახსნა ქ. ქლუხორში.

5. დაევალოს მატერიალური ფონდების განყოფილებას (უფროსი ამხ. დ. მელიქაძე):

ა) უზრუნველჰყოს საბავშვო სახლების მომარაგება ცენტრალიზებული წესით სახელოსნოებისათვის და სასოფლო-სამეურნეო შრომისათვის საჭირო ინვენტარით.

ბ) შრომითი სწავლების სამკერვალო სახელოსნოების მასალით უზრუნველყოფისა და წვრილი და რბილი ინვენტარის ზოგიერთ საბავშვო სახლში ადგილზე დამზადების მიზნით საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილებასთან ერთად შეარჩიოს საბავშვო სახლები და გადასცეს მათ საჭირო მასალა.

გ) მოაგვაროს სპეციალური (უჯრებად დაყოფილი) კარადებითა და სამეცადინო მაგიდებით საბავშვო სახლების მომარაგების საკითხი.

დ) უზრუნველჰყოს საბავშვო სახლები საკმაო რაოდენობის სკამებით, დანა-ჩანგლებით, ნავთის ლამპებით და სხვა საოჯახო ნივთებით ცენტრალიზებული წესით.

ე) მოამზადოს საკითხი საბავშვო სახლების კვების პროდუქტებით უკეთ მომარაგების შესახებ.

6. დაისვას საკითხი შრომითი რეზერვების საქართველოს სამ-მართველოს წინაშე სპეციალური სახელოსნო სასწავლებლის ან ქლუხორის სპეციალურ სახელოსნო სასწავლებელში შესაფერი ჯგუ-ფების გახსნის შესახებ საბავშვო სახლების იმ აღსაზრდელთა შრო-მითი მომზადებისათვის, რომლებიც გადაცილებული არიან სასკო-ლო ასაკს, ხოლო სასკოლო მომზადებით არ გასცილებიან დაწყე-ბითი სკოლის 1—2 კლასს, ან სულ არ უსწავლიათ სკოლაში.

7. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინაშე:

ა) საბავშვო სახლებში მედიკო-სანიტარული მომსახურეობის მკვეთრად გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ.

ბ) კოჯორის საბავშვო სახლების რენტგენო-დანადგარის შეუ-ფერხებლივ მუშაობის შესახებ.

8. დაევალოს საბავშვო სახლების დირექტორებს:

ა) უმოკლეს ვადაში უზრუნველჰყონ სამეცადინო ოთახები საჭი-რო ინვენტარით, განათებით, სასწავლო ნივთებითა და ხელსაწ-ყოებით.

ბ) საჭიროების მიხედვით ჩაატარონ არსებული ტანსაცმელის გადაკეთება თითოეული აღსაზრდელისათვის მორგების მიზნით, ტანსაცმელისა და თეთრეულის გაპიროვნება თითოეულ აღსაზრ-დელზე, ნიშნების დადება და ინდივიდუალური უჯრების მოწყობა თეთრეულის საწყობში აღსაზრდელზე გაპიროვნებული ნივთების შესანახად.

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ თეთრეულის, ტანსაცმელისა და განსაკუთრებით ფეხსაცმლისა და მაგარი ინვენტარის მოვლა-დაც-ვის საქმე.

დ) შეავსონ საბავშვო სახლებთან არსებული ფიზკულტურული მოედნები საჭირო იარაღებით, სახლები უზრუნველჰყონ შესაფერი სათამაშოებით.

ე) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი აღმზრდელთა მუშაობაზე.

ვ) უზრუნველჰყონ ზაფხულის პერიოდში გამაჯანსაღებელ ღო-ნისძიებათა ზუსტად გატარება.

9. საბავშვო სახლის არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის, კერძოდ ანტისანიტარული მდგომარეობის დაშვებისათვის:

ა) მოიხსნას სამუშაოდან გეგეჭკორის საბავშვო სახლის დირექ-ტორი დომენტი საბას ძე სურმავა და მიეთითოს სასწავლო-საალმზ-რდელო ნაწილის გამგეს თინათინ ისაკის ასულ კუჭავას.

ბ) დაისვას საკითხი გეგეჭკორის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების წინაშე საბავშვო სახლის ექიმისათვის სათანადო სასჯელის დადების შესახებ სუსტი მუშაობის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გამოეცხადოს საყვედური კასპის საბავშვო სახლის დირექტორს ანასტასია ესტატეს ასულ ჯაჯანაშვილს და მიეთითოს სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგეს მარიამ ვასილის ასულ ნიქაბაძეს.

დ) დაისვას საკითხი კასპის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების წინაშე საბავშვო სახლის ექიმისათვის სასჯელის დადების შესახებ სუსტი მუშაობის გამო.

ე) გამოეცხადოს საყვედური გორის საბავშვო სახლის დირექტორს ეკატერინე გრიგოლის ასულ ტერტეროვას.

ვ) დაისვას საკითხი გორის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების წინაშე დააღონ სათანადო სასჯელი გორის საბავშვო სახლის ექიმს სუსტი მუშაობის გამო.

10. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს მაქსიმალურად გააძლიერონ დახმარება და კონტროლი საბავშვო სახლების სასწავლო-სააღმზრდელო და საფინანსო სამეურნეო მუშაობაზე, კერძოდ:

ა) უზრუნველჰყონ დოკუმენტალური რევიზიის ჩატარება იმ საბავშვო სახლებში, სადაც ასეთი არ ჩატარებულა მიმდინარე წელს.

ბ) ყოველდღიური ხელმძღვანელობა და კონტროლი დააწესონ საბავშვო სახლებში რემონტის ჩატარებაზე და უზრუნველჰყონ მისი დროზე და ხარისხიანად დამთავრება.

გ) უზრუნველჰყონ საბავშვო სახლებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა ზემდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1950 წლის 20 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. დ. ძუპრაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1793

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 7 ივლისი

რუსული ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს სსრ სკოლებში

საქართველოს სსრ სკოლებში რუსული ენის სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ვბრძანებ:

I. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) 1950/51 სასწავლო წლის დასაწყისიდან უზრუნველჰყონ სკოლები რუსული ენის კვალიფიციური მასწავლებლებით. დაწყებით კლასებში რუსული ენის სწავლება მიენდოთ მხოლოდ ამ საგნის კარგად მცოდნე მასწავლებლებს.

ბ) 1950 წლის მასწავლებელთა აგვისტოს თათბირზე გაამახვილონ ყურადღება სკოლებში რუსული ენის საგნობრივი კომისიების ქმედით მუშაობაზე. ამ მუშაობაში ჩააბან დაწყებითი კლასების რუსული ენის ყველა მასწავლებელი და მიაღწიონ იმას, რომ დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებლები კარგად დაეუფლონ ლექსიკური გაკვეთილების ჩატარებას და ანბანის შესწავლის პერიოდში ანალიზურ-სინთეზური მეთოდის გამოყენებას.

გ) მომავალ სასწავლო წლისათვის სამზადისის პერიოდში უზრუნველჰყონ სკოლები რუსული ენის სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებით (ტაბულები, სურათები, მოძრავი ანბანი, სქემები და სხვა) და სასკოლო ბიბლიოთეკები შეავსონ კლასგარეშე საკითხავი რუსული ლიტერატურით.

დ) სისტემატური კონტროლი დააწესონ სკოლებში რუსული ენის სწავლების მიმდინარეობაზე, რისთვისაც სასკოლო ინსპექტორების არსებულ შტატში აუცილებლად იყოლიონ რუსული ენის კარგად მცოდნე ერთი სასკოლო ინსპექტორი.

ე) რაიონებისა და ქალაქების პედაგოგიურ კაბინეტებში 20 აგვისტოდან ჩამოყალიბდეს რუსული ენის მასწავლებელთა სექციები და მათ მუშაობას მიეცეს გეგმიანი და სისტემატური ხასიათი. სექციების ხელმძღვანელებად შეირჩეს რუსული ენის დახელოვნებული მასწავლებლები. სექციების მუშაობა წარიმართოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს რუსული ენის დახელოვნებულ მასწავლებელთა გამოცდილების გამოვლინება და განზოგადება.

II. დაევალოს დაწყებითი, რვაწლიან და საშუალო სკოლების დირექტორებსა და გამგეებს:

ა) რუსული ენის საგნობრივი კომისიის მუშაობა წარმართონ იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სკოლაში სასწავლო მუშაობის ყოველი მხარე: საპროგრამო მასალის ამომწურავი გეგმის შედგენა, წერითი სამუშაოების სახეების და ნორმების შესრულება, მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორება და ობიექტური შეფასება.

ბ) სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ჩამოაყალიბონ სკოლაში რუსული ენის კლასგარეშე წრეები და მათ მუშაობას მისცენ გეგმიანი და სისტემატური ხასიათი.

გ) სასკოლო ბიბლიოთეკების კლასგარეშე საკითხავი რუსული ლიტერატურა დაალაგონ კლასებისა და მოსწავლეთა მომზადების დონის მიხედვით და სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიონ მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვის საქმეს.

დ) პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე სისტემატურად იქნას მოსმენილი რუსული ენის სწავლების მდგომარეობა და დაისახოს ღონისძიება მისი გაუმჯობესებისათვის.

III. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა უზრუნველჰყოს 1950 წლის ზაფხულის პერიოდში რუსული ენის მასწავლებელთა გადამზადების გეგმის შესრულება, კურსებზე უფრო მეტი ადგილი დაუთმოს დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებლებს. მიმდინარე წელს დახელოვნების კურსებზე გამოწვეული იქნას მასწავლებელთა ის ნაწილი, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუვლია დახელოვნების კურსები.

IV. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდურ განყოფილებამ უზრუნველჰყოს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის მეთოდური წერილების კრებულის — „რუსული ენა არარუსულ სკოლაში“ გამოცემა და ადგილებზე დაყვანა.

V. განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველომ გააძლიეროს მუშაობა რესპუბლიკის სკოლებში

რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესწავლისა და სკოლებისათვის საჭირო დაამარების აღმოჩენის მიმართულებით.

VI. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ საფუძვლიანად გადასინჯოს რესპუბლიკის სკოლებში მომუშავე რუსული ენის მასწავლებელთა შემადგენლობა და მიიღოს საჭირო ზომები სკოლების რუსული ენის მასწავლებლებით უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. კუპრაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2378

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 29 ივლისი

განვიხილე რა ანგარიში საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების 1949/50 სასწავლო წლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგების შესახებ, აღვნიშნავ, რომ საბავშვო სახლებისა და სპეციალურ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითსა და სკოლის გარეშე მუშაობაში, აგრეთვე შრომითი სწავლების დაყენებაში წლის პირველ ნახევართან შედარებით ადგილი აქვს მთელ რიგ გაუმჯობესებებს. სწავლაში ჩაუბმელ სასკოლო ასაკის აღსაზრდელთა რიცხვი საგრძნობლად შემცირებულია. სკოლის მიერ სასწავლო მეოთხედებში შეუფასებელ აღსაზრდელთა რაოდენობა 161 აღსაზრდელიდან შემცირებულია 112 აღსაზრდელამდე. წლის ბოლოსათვის გაიზარდა აღსაზრდელთა მოსწრების დონე და, განსაკუთრებით, ხარისხი. სასწავლო წლის პირველ ნახევარში ასწრებდა 2.905 აღსაზრდელი, წლის ბოლოს ასწრებს და გადაყვანილ იქნა შემდეგ კლასებში 3.126 აღსაზრდელი (სკოლაში ჩაბმულ აღსაზრდელთა ერთდაიმავე რაოდენობიდან). ხუთასან-ოთხასანთა რიცხვი 831 აღსაზრდელიდან სასწავლო წლის პირველ ნახევარში გაიზარდა 1.215 აღსაზრდელამდე. სასწავლო წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს მახარაძის, ბორჯომის, განთიადის, ვაშლოვანის, კოჯრის № 3, 4, 5, 7, კარდანახის, კასპის, მახინჯაურის, საჩხერის საბავშვო სახლებმა და უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატებმა. ამასთან ერთად აღვნიშნავ, რომ ზოგი საბავშვო სახლის ხელმძღვანელების და აღმზრდელთა კოლექტივის მეტად სუსტი მუშაობის შედეგად ადგილი აქვს დიდ ჩამორჩენას: ქურთის საბავშვო სახლში 56 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებს 13, რომელთაგან იმავე კლასში დატოვებულია 6 აღსაზრდელი: ქლუტორის № 3 საბავშვო სახლში 202 აღსაზრდელიდან ჩამორჩება 31,მათგან 19 დატოვებულია იმავე კლასებში. სიღნაღის საბავშვო სახლის 60 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებს 12, ამათგან დატოვებულია იმავე კლასებში 6 აღსა-

ზრდელი, ლენინგორის 53 აღსაზრდელიდან 9 აღსაზრდელი სულ არ არის სკოლაში ჩაბმული, სკოლის მიერ შეფასებული 43 აღსაზრდელთაგან ვერ ასწრებს 15, ამათგან 9 დატოვებულია იმავე კლასებში. თამარაშენის საბავშვო სახლის 62 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებს 29, რომელთაგან დატოვებულია იმავე კლასებში 14, ახალციხის საბავშვო სახლში 56 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებს 8, დატოვებულია 6, რუსთავის საბავშვო სახლში 152 აღსაზრდელიდან შეფასებულია 16, დანარჩენ 136 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებს 29, რომელთაგან 18 უკვე დატოვებულია იმავე კლასებში. ჩემს მიერ განხილულ საანგარიშო მასალებიდან ჩანს, რომ საბავშვო სახლების ერთი ნაწილი დაუშვებელ უყურადღებობას იჩენს სასწავლო მუშაობისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზის შექმნის საკითხისადმი, რაც პირველ რიგში იმაში გამოიხატება, რომ სააღმზრდელო ჯგუფების სამეცადინო ოთახები არ არის უზრუნველყოფილი საკმაო რაოდენობისა და შესაფერი დგამით, განათებით, სასწავლო თვალსაჩინო დამხმარე ნივთებით, სახატავ-სახაზავ მოწყობილობითა და მასალებით.

საბავშვო სახლების ზოგი დირექტორი ნაკლებად ზრუნავს საბავშვო სახლის აღმზრდელთა საჭირო პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფისათვის.

აღვნიშნავ, რომ შრომითი სახელოსნოების მუშაობას საბავშვო სახლებში ახასიათებს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებისა, რომელთაგან მთავარია:

1. საბავშვო სახლებში არსებულ შრომითი-სასწავლო სახელოსნოები კუსტარულ ხასიათს ატარებენ, არ არიან მომარაგებული მექანიზირებული იარაღ-მანქანებით და დასამუშავებელ მასალის საჭირო ასორტიმენტით.

2. საბავშვო სახლები არ არიან უზრუნველყოფილნი შესაფერი პედაგოგიური და საწარმოო კვალიფიკაციის მქონე შრომის სწავლების ინსტრუქტორებით.

სკოლის გარეშე საწრეო მუშაობას საბავშვო სახლებში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახასიათებს, რომელთაგან მთავარია:

1. სრულიად არასაკმარისია საგნობრივ საგანმანათლებლო, ტექნიკური და სასპორტო-ფიზკულტურული წრეების რაოდენობა და მათში აღსაზრდელთა ჩაბმა.

2. ზოგი საბავშვო სახლის დირექტორი სრულიად არადამაკმაყოფილებლად ზრუნავს საწრეო მუშაობისათვის აუცილებელ მატერიალურ ბაზის შექმნაზე.

3. საბავშვო სახლები არ არიან უზრუნველყოფილი საწრეო, განსაკუთრებით მხატვრული აღზრდისა და სასპორტო-ფიზკულტურული წრეების მუშაობაში დახელოვნებული ხელმძღვანელებით, საბავშვო სახლების აღმზრდელები კი არასაკმაოდ არიან დაუფლებული საწრეო მუშაობის შინაარსსა და მეთოდებს. საბავშვო სახლების ხელმძღვანელები (დირექტორები, მოადგილეები) სუსტად ეხმარებიან მათ ამ საკითხში.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაევალოს საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების დირექტორებს:

ა) შესაფერისად მოაწყონ საბავშვო სახლებში სამეცადინო ოთახები, შეიძინონ სასწავლო თვალსაჩინო დამხმარე ნივთები და მასალები, შეავსონ ბიბლიოთეკა საჭირო საბავშვო და პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურით.

ბ) დააწესონ სისტემატური, ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება აღმზრდელთა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე და უზრუნველჰყონ პედაგოგიურ-მეთოდური მუშაობის გაშლა საბავშვო სახლის აღმზრდელთა შორის განათლების სამინისტროს მითითებათა საფუძველზე.

გ) გააძლიერონ და გააუმჯობესონ სკოლის გარეშე მუშაობა ტექნიკისა და სპორტის დარგში. კერძოდ, განსაკუთრებულად გაშალონ ნორჩ მიჩურინელთა, მხარეთმცოდნეობითი, რადიო და ფოტო-მოყვარულთა წრეები და ფიზკულტურული მუშაობა.

დ) შეავსონ შრომითი სწავლების სახელოსნოები საჭირო იარაღ-მანქანებით, მასალებითა და სხვა ხელსაწყოებით. სისტემატური და ეფექტური ხელმძღვანელობა, კონტროლი და დახმარება გაუწიონ საბავშვო სახლების შრომის ინსტრუქტორებსა და აღმზრდელებს საწარმოო და საყოფაცხოვრებო შრომის დაყენებაში განათლების სამინისტროს მითითებათა საფუძველზე.

2. დაევალოს განათლების სამინისტროს საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილებას (უფროსი ამხ. ვ. ი. ჩინჩალაძე):

ა) განსაკუთრებული ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ დააყენოს სამხრეთ ოსეთის, ახალციხის, რუსთავის, ქლუხორის № 3, სიღნაღის და სხვა შედარებით სუსტად მომუშავე საბავშვო სახლები.

ბ) გაუწიოს სათანადო დახმარება საბავშვო სახლებს სასწავლო-მატერიალურ ბაზის გაძლიერებაში.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო და ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს უზრუნველჰყონ საბავშვო სახლების საფუძველიანი მომზადება ახალი სასწავლო წლისათვის, ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 1-ლი ოქტომბრისათვის.

4. ეს ბრძანება დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო განათლების განყოფილების გამგეს, იმ რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, სადაც საბავშვო სახლები არსებობენ, აგრეთვე ყველა საბავშვო სახლს.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1950 წლის 27 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. დ. კუპრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1881

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წ. 11 ივლისი

კოჯრის № 9 საბავშო სახლში 1950 წლის 30 ივნისს ჩატარებულმა მოულოდნელმა შემოწმებამ გამოავლინა, რომ საბავშო სახლის პროდუქტების საწყობში ადგილი აქვს მთელ რიგ უწესრიგობას, სახელდობრ: სხვადასხვა სახის პროდუქტების დანაკლისს 192 მან. და 92 კაპ. ღირებულებით. ამავე დროს ზედმეტი რაოდენობით აღმოჩნდა 303 მან. და 80 კაპ. ღირებულების პროდუქტები. საწყობის აღრიცხვა მოუწესრიგებელია, მის მუშაობაზე არ არის დაწესებული მტკიცე და სისტემატური კონტროლი საბავშო სახლის ხემძღვანელობისა და ბუხჰალტრის მიერ. ზემოაღნიშნულის გამო

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. კოჯრის № 9 საბავშვო სახლის დირექტორს ანა კვინიკაძეს, პროდუქტების საწყობის მუშაობაზე კონტროლის შესუსტებისა და აღრიცხვის საქმის მოუწესრიგებლობის გამო, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

2. საბავშვო სახლის ბუხჰალტერი ილია მაისურაძე, საწყობის აღრიცხვის საქმის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და სუსტი კონტროლის გამო, განთავისუფლდეს სამუშაოდან.

3. საწყობის გამგე დარეჯან სახლთხუციშვილი საწყობში ანგარიშწარმოების არევის, პროდუქტების დანაკლისისა და მეტობის დაშვებისათვის მოიხსნას სამსახურიდან და მასვე დაეკისროს პროდუქტების დანაკლისის ღირებულების ანაზღაურება. ზედმეტი რაოდენობით აღმოჩენილი პროდუქტები აღებულ იქნას შემოსავალში.

4. ეს ბრძანება დაეგზავნოს განათლების სამინისტროს ყველა საბავშვო სახლს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. ჯუპრაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2250

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 22 ივლისი

გავეცანი რა საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილების უფროსის მოადგილის ამხ. ევ. ოდიშარიასა და ამავე განყოფილების რევიზორ-ინსპექტორ ამხ. მოსაშვილის მიერ ჩატარებულ ცხაკაიას საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმებისა და დოკუმენტალური რევიზიის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ცხაკაიას საბავშო სახლის მუშაობაში მიღწეულია მთელი რიგი წარმატებები. საბავშვო სახლში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და წესრიგი, სახლი უზრუნველყოფილია რბილი ინვენტარით და მოწესრიგებულია მისი მოვლა-პატრონობის საქმე. ადგილი არა აქვს ბავშვთა დაავადებებს, საკმაოდ მოწესრიგებულია სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა, თანამშრომელთა კოლექტივი გულისხმიერად ეკიდება ბავშვთა მოვლისა და აღრზდის საქმეს. საბ. სახლთან მოწყობილია საკმაოდ კარგი ხეხილის ბაღი და ბოსტანი.

ამავე დროს ცხაკაიას საბავშვო სახლის საფინანსო სამეურნეო აღრიცხვისა და დამხმარე მეურნეობის მუშაობის საქმეში დაშვებულია მთელი რიგი დარღვევები, სახელდობრ:

ა) სახლის ბიუჯეტის რიგ მუხლებში ადგილი აქვს, როგორც გადახარჯვას, ისე თანხების აუთვისებლობას;

ბ) საბავშვო სახლის დირექტორის მხრივ პროდუქტების საწყობის მუშაობაზე სუსტი კონტროლის შედეგად, ადგილი აქვს პროდუქტების დანაკლისს;

გ) ყოფ. ბუხჰალტრის კ. გახარიას სუსტი მუშაობის გამო დაშვებულია დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები და შემოსავალ-გასავლის დოკუმენტების არადროულად და არაწესიერად გაფორმება;

დ) სამნეო ნაწილის გამგის ვ. ადამიას მიერ დაშვებულია კერძო ბაზარზე და კერძო პირებისაგან ზოგიერთი საქონლის შეძენა უკა-

ნასკვნელის აუცილებლობის დადასტურებისა და ხშირად დირექტორის ნებართვის გარეშეც;

ვ) საბ. სახლის დირექცია გატაცებულია დიდი დამხმარე მეურნეობის შექმნით (25 ჰექტარი), რენტაბელობის თვალსაზრისით კი მეურნეობის მუშაობა არადამაკმაყოფილებელია, ამავე დროს როგორც სასწავლო აღმზრდელობითი ბაზა-მეურნეობა გამოუყენებელია მისი სიშორის გამო (15—20 კმ.);

ზ) საბავშვო სახლის სამეურნეო კომისია მეტად სუსტად მუშაობს, სათანადოდ არ ანხორციელებს საწყობისა და სამნეო ნაწილის გამგის მუშაობის კონტროლს.

აქედან გამომდინარე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წინადადება მიეცეს საბავშვო სახლის დირექტორს ამხ. ლ. ჭანტურიას გაატაროს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) უზრუნველყოს ბიუჯეტის თითოეული მუხლით გათვალისწინებული თანხის ხარჯვა პირდაპირი დანიშნულებით და არ დაუშვას გადახარჯვები ან თანხების აუთვისებლობა;

ბ) ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების დაფარვა;

გ) აღკვეთოს კერძო ბაზარზე და კერძო პირებისაგან საქონლის შეძენა, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში ასეთი ოპერაცია გააფორმოს მიღებული წესით;

დ) საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობის ფართობი არ აღემატოს 5 ჰექტარს, ბოსტანი კი გაშენდეს სახლის ეზოსთან მდებარე ფართობზე;

ე) პროდუქტების საწყობის დანაკლისი (1,218 გრ. ნამცხვარი და 5,97 გრ. შაქარი), აგრეთვე ახალი თეთრეულის საწყობის დანაკლისი (4 მაიკა) დააწეროს და დაუყონებლივ გადაახდევინოს საწყობის გამგეს ლ. ხაბურზანიას, ხოლო მიტანის დროს დაღვრილი 12,3 გრ. ჯემისა და ხელწერილით გაფორმებული, როგორც მომმარაგებელი ბაზიდან დღემდის მიუღებელი 11 ყუთი კონსერვის ღირებულება დააწეროს და გადაახდევინოს სამნეო ნაწილის გამგეს ვ. ადამიას;

ვ) დაადოს ადმინისტრაციული სასჯელი საბ. სახლის სამნეო ნაწილის გამგეს ვ. ადამიას სუსტი მუშაობისა და სამეურნეო აღრიცხვიანობაში არევ-დარევის შექმნისათვის. გააფრთხილოს ვ. ადამია, რომ მსგავსი მოქმედების შემთხვევაში ის მოხსნილი იქნება სამუშაოდან;

ზ) შეცვალოს პროდუქტებისა და თეთრეულის საწყობების გამგე ლ. ხაბურზანია უფრო კვალიფიციური მუშაკით;

თ) გადაახალისოს საბავშო სახლის სამეურნეო კომისია და უზრუ-
ნველყოს მისი მუშაობის დაყენება სათანადო სიმაღლეზე.

2. ეცნობოს ცხაკაიას რაიონის ეთერ-ზეთოვან კულტურათა ბაზ-
შის საბჭოთა მეურნეობის (სადაც ამჟამად მუშაობს ბუხჰალტერი
კ. გახარია) დირექტორს ცხაკაიას საბ. სახლის ყოფ. ბუჰხალტრის
კ. გახარიას სუსტი მუშაობის შესახებ საბავშვო სახლში ყოფნის
პერიოდში.

3. საბავშვო სახლის დირექტორს ლ. ჭანტურიას საფინანსო-სა-
მეურნეო აღრიცხვის მოუწესრიგებლობისა და დამხმარე მეურნეო-
ბის მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს სას-
ტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

4. დაევალოს საბავშკო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფი-
ლების უფროსს ამხ. ვ. ჩინჩალაძეს უზრუნველჰყოს ამ ბრძანების
ყველა მუხლის ზუსტად შესრულება მოცემულ ვადებში.

განმეორებით შეამოწმოს საბავშვო სახლის მუშაობა მიმდინარე
წლის ოქტომბერში და შედეგი მოამახსენოს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1873

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 8 ივლისი

გავეცანი რა ცაგერის საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასელი მოსწავლეების საგამოცდო წერით ნამუშევრებს გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში, აღვნიშნავ, რომ წლების განმავლობაში დასახელებულ სკოლაში მათემატიკის სწავლება არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული და მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია. წერით ნამუშევრებში დაშვებულია უხეში შეცდომები. მაგ., ამოცანის ამოხსნისას მოსწავლეთა ერთი ნაწილი ვერ ახერხებს სამკუთხედის ელემენტებს შორის დამოკიდებულების სწორად გამოსახვას, ფორმულების იგივურ გარდაქმნებს, ნამრავლის გალოგარითმებას, ოთხნიშნა მათემატიკური ცხრილებით სარგებლობასა და სხვ. რიგ შემთხვევაში ტრიგონომეტრიული განტოლება შეკვეცილია უცნობის შემცველ გამოსახულებაზე, რითაც იკარგება განტოლების ფესვი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მოსწავლეებს: კირილე, ვაჟა და ანზორ ჩაკვეტაძეებს, თამარ გურულს, თინა ახვლედიანს, ლილი სვანიძეს, რუსუდან ბენდელიანს, სეით ლეთოდიანს, გრიშა შკუმულიანსა და თამარ ლეთოდიანს მიეცეთ საშემოდგომო გამოცდები გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში.

2. დაევალოს ცაგერის რაიგანათლების განყოფილების გამგეს ამხ. გ. სვანიძეს უზრუნველჰყოს დასახელებულ მოსწავლეებთან დამატებითი მეცადინეობა მათემატიკაში ა/წ. 15 ივლისიდან 20 აგვისტომდე, გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიის ცოდნაში არსებული მნიშვნელოვანი ჩამორჩენილობის აღმოფხვრის მიზნით.

3. დასახელებული მოსწავლეებისათვის ატესტატების მიცემის საკითხი გადაწყდეს გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში წერითი გამოცდის ჩაბარების შემდეგ, საერთო წესით.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2612

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 10 აგვისტო

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დაწყებითი სკოლებისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის სკოლების შემოწმებით დადასტურდა, რომ საშუალო სკოლების რეორგანიზაციის შედეგად ოლქის სკოლებში ოთხი წლის მანძილზე მიღწეულია გარკვეული წარმატებანი: მოსწავლეთა დიდი ნაწილი უკეთ ეუფლება მეცნიერებათა საფუძვლებს, საგრძნობლად ამაღლდა მათი მომზადებისა და საერთო კულტურის დონე.

მაგრამ რეორგანიზებული დაწყებითი სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს. მასწავლებელთა ერთი ნაწილი საკმაოდ ვერ ფლობს ოსურ ენას; ქართული და რუსული ენების სწავლებისას ვერ იყენებს პედაგოგიურად შემოწმებულ მეთოდებს, კერძოდ, ვერ იყენებს ოსურ ენას. ვერ ატარებს სათანადო მუშაობას ლექსიკის გასამდიდრებლად, რის გამო ღარიბია მოსწავლეთა მეტყველების კულტურა და დაბალია მათი ცოდნის დონე. თვით ოსური ენის სწავლება ზოგიერთ სკოლაში არ არის დაყენებული საჭირო სიმაღლეზე.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის დაწყებითი სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 1951/52 სასწავლო წლისათვის დაწყებითი სკოლის II, III და IV კლასების რუსული ენის მოქმედი სახელმძღვანელოები გადამუშავდეს სამხრეთ-ოსეთის სკოლებისათვის იმგვარად, რომ შენარჩუნებული იქნეს სახელმძღვანელოში არსებული დიდაქტიკურ-პედაგოგიური პრინციპი, ხოლო ახსნა-განმარტებანი და ლექსიკონი მოცემული იქნას ოსურ ენაზე და ზოგიერთი მასალა შეიცვალოს ადგილობრივი პირობების შესაბამისად.

2. დაევალოს სახელმძღვანელოების განყოფილების უფროსს ამხ. ჯავახიას და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. გაგლოშვილს უზრუნველჰყონ აღნიშნული სახელმძღვანელოების დასაბეჭდად დამზადება 1951/52 სასწავლო წლისათვის, ჩააბან სახელმძღვანელოს გადამუშავებაში გამოცდილი დამსახურებული მასწავლებლები.

3. დაევალოს საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსს ამხ. ბიწაძეს და სახელმძღვანელოების განყოფილების უფროსს ამხ. დ. ჯავახიას გაითვალისწინონ 1951 წლის ხარჯთაღრიცხვაში ორნიშნულ სახელმძღვანელოთა დამზადებისათვის საჭირო ასიგნობანი.

4. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მ. გაგლოშვილს:

ა) დაამზადოს 1950/51 სასწავლო წლისათვის მეთოდური მითითებები სამხრეთ-ოსეთის დაწყებითი სკოლებში რუსული და ქართული ენების სწავლების თავისებურებათა შესახებ და წარმოადგინოს განსახილველად განათლების სამინისტროში;

ბ) შეისწავლოს დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა პირადი შემადგენლობა და ოსური ენის არმცოდნე მასწავლებლები, საჭირო შემთხვევაში, შესცვალოს საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოსი მასწავლებლებით.

5. დაევალოს მატერიალური ფონდების განყოფილების უფროსს ამხ. დ. მელიქაძეს მიიღოს საჭირო ზომები, რათა 1950/51 სასწავლო წლისათვის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დაწყებითი სკოლები უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით.

6. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს (დირექტორი ამხ. ი. დარსანია) 1950/51 წლის გეგმაში გაითვალისწინოს სამხრეთ-ოსეთის მასწავლებელთათვის სასწავლო წლის პერიოდში სემინარების ჩატარება, ხოლო ზაფხულის არდადეგების პერიოდში მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მოწყობა.

სემინარების და კურსების გეგმები და პროგრამები წარმოადგინოს დასამტკიცებლად განათლების სამინისტროში.

7. დაევალოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტს:

ა) 1951 წლის საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინოს სამხრეთ-ოსეთის დაწყებით სკოლებში რუსული და ქართული ენების სწავლების შესახებ მეთოდური მითითებების გამოცემა.

ბ) ინსტიტუტის მიერ გამოცემული მეთოდური ლიტერატურა საჭირო რაოდენობით მიაწოდოს სამხრეთ-ოსეთის მასწავლებლებს.

8. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს 1950/51 სასწავლო წლის 1-ლ ნახევარში შეისწავლოს სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სკოლების მუშაობა, მასწავლებლებს ადგილებზევე გაუწიოს საჭირო დახმარება და გამოკვლევის შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. კუპრაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3510

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წ. 14 აგვისტო

მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე 1950 წლის ზაფხულის პერიოდში ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ

გავეცანი რა მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მუშაობის შედეგებს აღვნიშნავ, რომ 1950 წლის ზაფხულის პერიოდში რესპუბლიკის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მუშაობა ჩატარდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1950 წლის 10 ივნისის ბრძანების შესაბამისად და წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. მასწავლებელთა დახელოვნების კურსები უზრუნველყოფილი იყო სამუშაო და საცხოვრებელი ბინებით, სასწავლო გეგმებით, პროგრამებით, სასწავლო-დიდაქტიკური მასალებითა და კვალიფიციური ლექტორებით. დახელოვნების კურსები ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 2545 მასწავლებლისა გაიარა 2566 მასწავლებელმა, მათ შორის 676 ახლადდამწყებ მასწავლებელმა.

განსაკუთრებით კარგად იყო მოწესრიგებული მუშაობა ქართული სკოლის ქართული ენის, არა რუსული სკოლის რუსული ენის, არაქართული სკოლის ქართული ენის, გეოგრაფიის, მათემატიკის, ფიზიკის, ისტორიის, ბიოლოგიის, ქიმიის მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე, ასევე ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დახელოვნების კურსებმა აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებში, ქ. თბილისში, მახარაძეში, თელავში, ზუგდიდში, საჩხერეში, ამბროლაურში და ახალციხეში. სათანადო ყურადღება ჰქონდა მიქცეული დახელოვნების კურსების მსმენელთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებასა და მსმენელთა კულტმომსახურებას. სასწავლო გეგმებით დამტკიცებულ ყველა საგანში პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ყველა კურსზე მთლიანად იქნა გავლილი.

მიუხედავად ამისა დახელოვნების კურსების მუშაობაში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს, სტალინირსა და გორში მოწყობილი მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მსმენელები არ იყვნენ უზრუნველყოფილი საწოლებითა და საყოფაცხოვრებო ხასიათის სხვა მომსახურებით. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა ზოგიერთმა გამგემ, მიუხედავად არაერთგზის გაბრთხილებისა, ვერ უზრუნველჰყო კურსებზე გასაგზავნი კონტინგენტის მთლიანად მივლინება, ხოლო გარდაბანის, ბოგდანოვკის და ყაზბეგის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები გ. მუსაევი, გ. მურადიანი და ვ. ხახლიშვილი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ დახელოვნების კურსებზე მასწავლებელთა გაგზავნის საქმეს. კასპის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ, ვ. ალექსიძემ მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე გაგზავნა მასწავლებელი ა. ქ. მანყულაშვილი, რომელიც პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტად ითვლება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ი. დარსანიას:

ა) შემდეგში დროულად აცნობოს განათლების განყოფილების გამგეებს მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე მისავლინებელ მასწავლებელთა კონტინგენტი.

ბ) განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებასთან ერთად სისტემატურად შეამოწმოს კურსების მუშაობის მიმდინარეობა და დასახონ სათანადო ღონისძიებანი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

გ) მიმდინარე წლის ბოლომდე უზრუნველჰყოს კურსებზე გამოუცხადებელი ცალკეული საგნის 120 მასწავლებლისათვის დახელოვნების კურსების მოწყობა ქ. თბილისში, სამუშაოდან მოწყვეტით ქართული ენის 20 და რუსული ენის 19 მასწავლებლისათვის, ხოლო მუშაობიდან მოუწყვეტლივ დაწყებითი სკოლის ფიზიკური აღზრდის 81 მასწავლებლისათვის.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, საოლქო, სარაიონო და საქალაქო განყოფილების გამგეებმა შემდეგში უზრუნველჰყონ კურსებზე მისავლინებელ მასწავლებელთა დროულად შერჩევა და გამოცხადება და არ დაუშვან იმ მასწავლებელთა მივლინება, რომლებსაც უკანასკნელი 5 წლის მანძილზე გავლილი აქვთ დახელოვნების კურსები (გარდა უცხო ენის მასწავლებლებისა).

ბ) დახელოვნების კურსების მუშაობის დაწყებამდე 15 დღით ადრე გადმოუგზავნონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს კურსებზე მოსავლინებელ მასწავლებელთა სახელობითი სიები.

4. იმის გამო, რომ ვერ უზრუნველჰყვეს მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე გეგმით გათვალისწინებულ მასწავლებელთა მოვლინება ბოგდანოვკის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. გ. მურადიანს, გარდაბანის რაიონის სახალხო განათლების განყოფ. გამგეს ამხ. გ. მუსაევს, ყაზბეგის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ხახლიშვილს, წალკის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ა. ტერსენოვს, მარნეულის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. გ. მახმუდოვს და მცხეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ვ. მაცაბერიძეს—მიეთითოთ.

6. დაევალოს საგეგმო-საფინანსო განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ბიწაძეს 1951 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისათვის 500 ცალი რკინის საწოლის შეძენისათვის საჭირო თანხები.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე ვ. ტოგოლნიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2759

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 15 აგვისტო

სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის საფინანსო საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღინიშნოს, რომ სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის საფინანსო საქმიანობაში ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებს; პროფესორ-მასწავლებელთა პირადი საქმეები მოუწესრიგებელია, ხელფასის ტარიფიცირებას არ ექცევა ყურადღება, ხელფასი იწერება სათანადო დოკუმენტების არსებობის გარეშე.

უფროს მასწავლებელ კ. ლომინაძის პირად საქმეში არაა საბუთები განათლებისა და სტაჟის შესახებ, მიუხედავად ამისა ხელფასი ეწერება როგორც 10 წელზე ზევით სტაჟის მქონეს, 1650 მანეთის რაოდენობით კუთვნილი 1200 მანეთის ნაცვლად.

ასევე უკანონოდ ეძლევა ხელფასები: უფროს მასწავლებელ ბ. ჯიოევს, 1875 მანეთი ნაცვლად 1500 მანეთისა, დოც. გ. ადელხანოვს, 2700 მანეთი ნაცვლად 2000 მანეთისა; დოც. ი. ხირსელს, 1600 მანეთი ნაცვლად 1250 მანეთისა; ნ. სტიევს 750 მანეთი ნაცვლად 600 მანეთისა; დოც. ი. მეგრელიძეს, 1600 მანეთი ნაცვლად 1260 მანეთისა; უფროს მასწავლებელ ქ. სანაძეს, 1600 მანეთი ნაცვლად 1250 მანეთისა; უფროს მასწავლებელ შ. ჭრელაშვილს, 1600 მანეთი ნაცვლად 1400 მანეთისა; უფროს მასწავლებელ ვ. ბურნაძეს, 1650 მანეთი ნაცვლად 1200 მანეთისა; უფროს მასწავლებელ პ. პანპალოვს, 1650 მანეთი ნაცვლად 1200 მანეთისა; უფროს მასწავლებელ ა. გობარაევს, 1800 მანეთი ნაცვლად 1440 მანეთისა; დოც. ლ. აგამერზიანს, 1400 მანეთი, ნაცვლად 1250 მანეთისა; დოც. ა. ღლონტს, 1600 მანეთი, ნაცვლად 1200 მანეთისა. დარღვეულია სტუდენტებზე სტიპენდიის დანიშვნის წესი: ასე მაგ. პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის 1949 წლის 7/IX—№ 70 ბრძანებით ლიტერატურული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებს პ. იუდინს და ვ. ბეკო-

ევს დანიშნული აქვთ აკადემიურად წარჩინებულთათვის დაწესებული სტიპენდია, ხოლო 1949 წლის 19 დეკემბრის № 109 ბრძანებით ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის სტუდენტს ბ. პლიევს დანიშნული აქვს სტიპენდია 1949 წლის 1 სექტემბრიდან, ე. ი. უკანა რიცხვით, მაშინ როდესაც მას სტიპენდია შეიძლებოდა დანიშნოდა მხოლოდ 1950 წლის თებერვლიდან, ყველა საგნების წარმატებით ჩაბარების პირობებში.

სტუდენტ მ. ტიბილოვს თებერვალში მიეცა ივლისის და აგვისტოს სტიპენდია 480 მანეთის რაოდენობით, მაშინ როდესაც მას სტიპენდია დაენიშნა 1949 წლის 1 სექტემბრიდან. სტუდენტები პ. ჯიოევი, ნ. ძუგაევი, დ. კოჩიევი, მ. ჩხეიძე, ს. კოჩიევი, ვ. მარგიევი, ვ. ბესაევი, ვ. სანაკოევი, ნ. ჯიოევი და ლ. ძერანოვი ინსტიტუტის დირექტორის მიერ ბრძანებით გაფორმების გარეშე ღებულობენ სტიპენდიას.

ადგილი აქვს პროფესორ მასწავლებლეზე და სტუდენტებზე ხელფასებისა და სტიპენდიების დაგვიანებით გაცემის შემთხვევებს. 16 ივლისის მდგომარეობით პროფ. მასწავლებლებზე გაუცემელი იყო მაისის თვის პირველ ნახევრის ხელფასი, ხოლო სტუდენტებზე სტიპენდია 19.408 მანეთი და 75 კაპეიკი. ინსტიტუტისათვის საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენა წარმოებს კერძო პირებისაგან, იმ დროს, როდესაც ასეთების შეძენა შეიძლება სავაჭრო ორგანიზაციებიდან გადარიცხვის წესით. იმ დროს, როდესაც ინსტიტუტს არ მოეპოება აუცილებელი და საჭირო ინვენტარი (მაგიდები, სკამები და სხვა), დირექტორ ჯიოევის მიერ დადებულია ხელშეკრულება რუსთავის პრომ-კომბინატის რწმუნებულთან სხვადასხვა დაკვეთების შესასრულებლად 11.208 მაეთისა და 50 კაპ. ღირებულებით, რომელსაც უკვე ჩაერიცხა 6302 მანეთი და 50 კაპეიკი, შესრულების ვადა დიდი ხნის გასულია, მაგრამ დაკვეთა შესრულებული არ არის.

სტუდენტებისაგან სწავლის გადასახადი შემოდის დიდი დაგვიანებით და იხარჯება ბანკის გვერდის ავლით, რის შედეგადაც 1950 წლის 18 იანვრიდან 21 ივნისამდე სწავლის ქირა შეუტანელია ბანკში 88.955 მანეთი.

ადგილი აქვს ავანსების გაცემის უკანონო პრაქტიკას, უფროს მასწავლებელ კ. ლომინაძეზე დღემდე ირიცხება 6.600 მანეთი და განათლების სამინისტროს თანამშრომელ მ. მაღრაძეზე 1.900 მანეთი, რომელთა ანგარიშსწორებისათვის დღემდე ზომები არაა მიღებული.

გამოვლინებული საფინანსო დისციპლინის დარღვევის აღმოფხვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ინსტიტუტის დირექტორს (ზ. ჯიოევს):

ა) ერთი დეკადის ვადაში წესრიგში მოიყვანოს პროფესორ-მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირადად განიხილოს სატარიფიკაციო სიები და დოკუმენტები, ხოლო მის შემდეგ მოახდინოს ხელფასის დანიშვნა.

ბ) აღკვეთოს სტიპენდიების დანიშვნებში გამოვლინებული დამახინჯებანი, სტუდენტებს სტიპენდიები დაენიშნოს აკადემიური წარმატების მაჩვენებლების მიხედვით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 9 აგვისტოს № 2996 დადგენილების საფუძველზე.

გ) გაატაროს ღონისძიებანი და უზრუნველჰყოს პროფესორ-მასწავლებლებზე და სტუდენტებზე უკანონოთ გაცემული თანხების დაბრუნება მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე.

დ) აკრძალოს თანხების არამიზნობრივი ხარჯვა და მასალებისა და ინვენტარის კერძო ბაზარზე შეძენა. თანხების ხარჯვა აწარმოოს დამტკიცებული ბიუჯეტის მუხლების სრული შესაბამისობით.

ე) შემდგომში არ დაუშვას ავანსების გაცემა, ხოლო არსებულ ანგარიშვალდებულ პირებთან ერთი დეკადის ვადაში მოახდინოს ანგარიშსწორება.

ვ) აღკვეთოს პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასის და სტუდენტთა სტიპენდიების დაგვიანებით გაცემა, როგორც წესი, ხელფასები იცემოდეს ყოველი თვის 16 და 1 რიცხვებში.

2. სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ზ. ა. ჯიოევს, რომელმაც დაუშვა სახელმწიფო თანხების არამიზნობრივი ხარჯვა და უკანონო გაცემა გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და გაფრთხილებულ იქნეს, რომ მზგავს შემთხვევაში მოხსნილი იქნება სამუშაოდან და მიეცემა პასუხისგებაში.

3. სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-სამეცნიერო ნაწილში ა. ხვოლესს პროფესორ-მასწავლებლებზე და სტუდენტებზე ხელფასისა და სტიპენდიების გაცემის საქმეში უმეთვალყურეობისათვის მიეთითოს.

4. ინსტიტუტის მთავარი ბუხჰალტერი გაგიევი, რომელმაც დაუშვა თანხების არამიზნობრივი ხარჯვა, უკანონოდ გაცემა და არევ-დარევა შეიტანა საფინანსო ანგარიშსწორების საქმეში, მოიხსნას სამუშაოდან.

5. ეცნობოს სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკურ კანტორას იმ დაშახინჯებების შესახებ, რაც დაშვებულია სახბანკის სტალინირის საოლქო განყოფილების მიერ სახელმწიფო თანხების მიზიდვისა და გაცემის საქმეში.

6. ეს ბრძანება ეცნობოს ყველა ინსტიტუტისა და პედსასწავლებლის დირექტორს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ვ. ტოგონიძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3073

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 25 აგვისტო

აღვნიშნავ, რომ 1949/50 სასწავლო წელს ზუგდიდის ვაჟთა საშუალო სკოლაში მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში ადგილი ჰქონდა უხეშ დამახინჯებებს. სკოლის ყოფილი დირექტორის გ. ჯვებენავას, სასწავლო ნაწილის გამგის გ. ჩხოლარიას, კლასის ხელმძღვანელების: ვ. ჯიქიას, ს. ბაბუნაშვილისა და დ. ლოგუას დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად უხეშად დარღვეულია განათლების სამინისტროს ინსტრუქცია კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების შესახებ. დატოვებული მოსწავლენი უკანონოდ გადაყვანილნი არიან შემდეგ კლასში. ასე მაგალითად, VI^ა კლასის (კლასის ხელმძღვანელი ვ. ჯიქია) მოსწავლე ჯ. ტაბაღუას წლიური შეფასებით 11 საგანში ჰქონდა ნიშანი „2“ და დატოვებული იყო იმავე კლასში. სკოლის დირექციისა და კლასის ხელმძღვანელის შეთანხმებით მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და ყოფაქცევის სააღრიცხვო ჟურნალში მოსწავლე ჯ. ტაბაღუას მეოთხედურ და წლიურ შეფასების ნიშნებზე გადააწებეს სხვა ჟურნალიდან ამოჭრილი სუფთა ფურცელი და ნიშან „2“ ნაცვლად დაუწერეს „3“, დაუშვეს გამოცდებზე და გადაიყვანეს შემდეგ კლასში.

ამავე კლასის მოსწავლე ჟ. კევლიშვილს სამ საგანში ჰქონდა წლიური ნიშანი „2“, კლასის ხელმძღვანელმა ვ. ჯიქიამ გეოგრაფიაში თვითნებურად გადაუსწორა შეფასების ნიშანი და დაუწერა „3“ და, ამრიგად, მოსწავლე ჟ. კევლიშვილი დაშვებული იქნა გამოცდაზე.

VII^ბ კლასის მოსწავლე ე. აბულაძეს 6 საგანში ჰქონდა წლიური ნაშანი „2“, კლასის ხელმძღვანელმა ს. ბაბუნაშვილმა მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და ყოფაქცევის სააღრიცხვო ჟურნალში 4 საგანში ნიშნები გადაუსწორა, ხოლო ალგებრასა და გეომეტრიაში საშემოდგომო გამოცდების მიცემის ნაცვლად მოსწავლე ე. აბულაძე საგაზაფხულო გამოცდებზე იქნა დაშვებული.

IX^ა კლასის მოსწავლე ჯ. გულუას საგაზაფხულო გამოცდების შედეგად შეფასების ნიშანი „2“ ჰქონდა სამ საგანში. კლასის ხელ-

მძღვანელმა დ. ლოგუამ მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და ყოფაქცევის საალრიცხვო ჟურნალში საშემოდგომო გამოცდა 2 საგანში ჩაუწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე კლასის მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და ყოფაქცევის საალრიცხვო ჟურნალში შეფასების ნიშნების უმრავლესობა გადასწორებულია კლასის ძელმძღვანელის დ. ლოგუას მიერ.

გარდა ამისა, V-XI კლასების საკლასო ჟურნალებში ჩაკრულია სუფთა ფურცლები და ნიშანი „2"-ის ნაცვლად ჩაწერილია მაღალი შეფასების ნიშნები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მოსწავლეთა ნიშნების გადასწორებისა და დატოვებულ მოსწავლეების შემდეგ კლასში გადაყვანისათვის:

მოიხსნან სამუშაოდან: ზუგდიდის ვაჟთა საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე გ. ჩხოლარია; VI^ა კლასის ხელმძღვანელი და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. ჯიქია, VII^ა კლასის ხელმძღვანელი და ფიზკულტურის მასწავლებელი ს. ბაბუნაშვილი, IX^ბ კლასის ხელმძღვანელი და გეოგრაფიის მასწავლებელი დ. ლოგუა.

2. დაბრუნებული იქნან იმავე კლასებში უკანონოდ გადაყვანილი მოსწავლეები: ჯ. ტაბაღუა, ჟ. კევლიშვილი (VI კლასი), ე. აბულაძე (VII^ბ კლ) და ჯ. გულუა (IX^ბ კლასი).

3. დაევალოს ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფ. გამგეს ამხ. მ. ქობალიას:

ა) ა/წ. 1 სექტემბრამდე შეამოწმოს ზუგდიდის ვაჟთა საშუალო სკოლის მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და ყოფაქცევის საალრიცხვო და საკლასო ჟურნალები და მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში გამოვლინებულ დამახინჯებების შემთხვევაში გაატაროს საჭირო ღონისძიებები.

ბ) ერთი თვის ვადაში შეამოწმოს რაიონის ყველა სკოლაში საკლასო ჟურნალებისა და მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და ყოფაქცევის საალრიცხვო ჟურნალები და მიიღოს გადამჭრელი ზომები სასკოლო დოკუმენტაციის მოსაწესრიგებლად.

3. ეს ბრძანება განხილული იქნეს დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ვ. ტოგონიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4025

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 23 ოქტომბერი

აღვნიშნავ, რომ წალკის რაიონის კიარიაკის რუსულ რვაწლიან სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა სუსტადაა დაყენებული (სკოლის დირექტორი პ. ს. ანტონიადი), სკოლა ახალ, 1950/51 სასწავლო წელს მოუმზადებლი შეხვდა; 12/IX-თვის არ იყო შედგენილი სკოლის წლიური კალენდარული სამუშაო გეგმა, სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის ნახევარწლიური და კლასის ხელმძღვანელის მეოთხედური სამუშაო გეგმები. არ იყო შედგენილი გაკვეთილების სტაბილური ცხრილი, დაზუსტებული არ იყო მასწავლებელთა შორის გაკვეთილების განაწილება, სკოლაში მუშაობა თვითდინებით მიმდინარეობდა.

გასულ სასწავლო წლის ყოველდღიური შეფასების ნიშნები არ ეფარდება მეოთხედურ ნიშნებს. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში არ იყო დაცული ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემა. ხშირი შემთხვევებია საკლასო ჟურნალებში შეფასების ნიშნების გადასწორებისა.

სკოლის დირექციის მოუქნელი მუშაობის შედეგად საშემოდგომო გამოცდები 23 მოსწავლიდან 8 მოსწავლემ ჩააბარა. მარტო IV კლასში 13 მოსწავლედან 12 ვერ ჩააბარა. სკოლას, საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებისათვის ზაფხულის პერიოდში არავითარი დახმარება არ გაუწევია. 366 მოსწავლიდან 60 მეორეწლიანია.

არც-ერთ საკლასო ოთახში მასწავლებლებისათვის არ არის მაგიდა და სკამი. საკანცელარიო ნივთები სრულებით არ მოეპოებათ. სკოლას არ აქვს საბუთების შესანახი შკაფი, მაშინ როდესაც, სკოლის დირექტორს პ. ს. ანტონიადის საკუთარ სახლში წაღებული აქვს სკოლის ინვენტარის ნაწილი—შკაფი და კამოდი.

სკოლის დირექტორი და ყოფილი სასწავლო ნაწილის გამგე არ არიან განთავისუფლებული რელიგიური ცრუმორწმუნეობისაგან. ასე, მაგალითად, 1947 წელს სკოლის დირექტორის შვილმა, მეშვიდე კლასის მოსწავლე ს. პ. ანტონიადიმ, რელიგიური წესით მოუნათლა შვილი ამავე სკოლის ყოფილ სასწავლო ნაწილის გამგეს კ. სეჩოვს.

სკოლის დირექტორმა პ. ს. ანტონიადმა ბოროტად გამოიყენა ის გარემოება, რომ სკოლაში 8 თვის განმავლობაში არ ისწავლებოდა უცხო ენა და კვირეული 12 საათის ღირებულებას თითონ იწერდა.

განათლების სამინისტროს მიერ გათავისუფლებულ დაწყებითი კლასის მასწავლებელ მარია არჯანოვას მაგიერ სკოლის დირექტორმა პ. ს. ანტონიადიმ განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე მიიღო სამუშაოზე თავისი მახლობელი გ. ანტონოვი, რომელსაც არ აქვს განათლების საბუთი და მისცა მას ფიზკულტურის გაკვეთილები, დანიშნა სამნეო ნაწილის გამგედ და ღამის დარაჯად. მანვე განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე ბიოლოგიის გაკვეთილები მისცა ვინმე ა. ანტონოვს, რომელსაც არ ჰქონდა განათლების ცენზი, 4 თვის შემდეგ ის, როგორც საგნის უცოდინარი, მოიხსნა მასწავლებლობიდან. 1950 წლის 1/I-დან 20/I-მდე სკოლაში ბიოლოგია არ ისწავლებოდა. სკოლის დირექტორმა პ. ს. ანტონიადიმ კი 20 დღის ხელფასი უკანონოდ გამოუწერა ყოფილ სასწავლო ნაწილის გამგეს კ. სეჩოვს და მასწავლებელ მოისეევს.

1950 წლის 15/IV-დან 24/IV-მდე სკოლის დირექტორი პ. ს. ანტონიადი ავადმყოფობის გამო იმყოფებოდა თბილისში, მის მაგიერ მათემატიკას ასწავლიდნენ მასწავლებლები კალაიჩევი და მოისეევი, აღნიშნულ 10 დღის ხელფასი კი დირექტორმა თავისთვის გამოიწერა.

1948/49 სასწავლო წელს 8 კლასი დაამთავრა მოსწავლე ს. პ. ანტონოვმა და მიიღო დამთავრების მოწმობა. სკოლის დირექტორის პ. ს. ანტონიადის განკარგულებით ს. პ. ანტონოვი 1949/50 სასწავლო წელს ისევ VIII კლასში სწავლობდა სასწავლო წლის ბოლომდე.

საგაზაფხულო გამოცდებზე სკოლის დირექტორმა პ. ს. ანტონიადმა დაარღვია განათლების სამინისტროს საგამოცდო ინსტრუქციის § 11 და IV კლასში მშობლიურ ენაში გავლილი ლიტერატურული მასალის მოკლე შინაარსის გადმოცემის ნაცვლად ჩაატარა კარნახი.

სკოლის დირექტორი არადანიშნულებისამებრ იყენებდა სამნეო-ხარჯებისა და ინვენტარის შესაძენად ბეშთაშენის სასოფლო-საბ-ჭოს აღმასკომიდან მიღებულ ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებს, მაშინ როდესაც რიგი წლების მანძილზე სკოლას არავითარი ინ-ვენტარი არ შეუძენია. შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშსწორე-ბისას გადიდებულია ანგარიშები, მაგალითად, 7 საკლასო ოთახის (თითოეული 15—20 კვ. მეტრი) კირით შეთეთრებაში ვინმე დამო-ცევისათვის 1947 წელს მიუციათ 2150 მან., 1948 წელს—1420 მან. და 1949 წელს—1600 მანეთი; იმავე დამოცევისათვის თითო-ეული მერხის შეკეთებაში 1947 წელში მიუციათ 65 მანეთი სულ 2.015 მანეთი, 1948 წელს—45 მანეთი—სულ 1.584 მან. და 1949 წელს—30 მანეთი, სულ 1095 მანეთი, მაშინ როდესაც კოლმეურ-ნეობას 1950 წელში თითოეული მერხი შეუკეთებია 10 მანეთად.

არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული სკოლის ნაკვეთი-დან მიღებული შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

ამავე რაიონის ნარდევანის სომხური რვაწლიანი სკოლის დირექ-ტორს ე. მ. მეგრაბიანს, ამ სკოლის მასწავლებელთა პირადი საქ-მის გადასინჯვისას აღმოაჩნდა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილი-სის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ 1948 წლის 28/III თარიღით გაცემული ცნობა № 191, რომ ე. მ. მეგრაბიან-მა 1948 წლის 28/III დაამთავრა 2-წლიანი პედაგოგიური ინსტი-ტუტის სომხური ენისა და ლიტერატურის დაუსწრებელი განყო-ფილების სრული კურსი და ირიცხება III კურსზე.

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგი-ური ინსტიტუტის ცნობით ე. მ. მეგრაბიანს სრულებით არ უს-წავლია დაუსწრებელ განყოფილებაზე. დადასტურებულია, რომ ინსტიტუტიდან გამოტანილია ბეჭედდასმული სუფთა ბლანკი და მასში ტექსტი შემდეგ არის ჩაბეჭდილი.

ამრიგად, დადასტურებულია, რომ ნარდევანის რვაწლიანი სომ-ხური სკოლის დირექტორის ე. მ. მეგრაბიანის ცნობა განათლე-ბის ცენზის შესახებ ყალბია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წალკის რაიონის კიარიაკის რუსულ რვაწლიან სკოლის დი-რექტორი პ. ს. ანტონიადი სკოლაში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ჩაშლისა, განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე სკოლაში მასწავლებლების მიღებისა, საგამოცდო ინსტრუქციის დამახინჯებისა, სასკოლო ინვენტარისა და ხელფასის თანხების მითვისებისა, ადგილობრივი ბიუჯეტის თანხების არადანიშნულე-

ბისამებრ გამოყენებისა, სასკოლო ნაკვეთიდან შემოსულ პროდუქტების განიავებისა და რელიგიური წესით ნათლობაში მონაწილეობის მიღებისათვის მოიხსნას სამუშაოდან.

2. ამავე რაიონის სოფელ ნარდევანის სომხური რვაწლიანი სკოლის დირექტორი ე. მ. მეგრაბიანი განათლების ცენზის ყალბი საბუთის წარმოდგენისათვის მოიხსნას თანამდებობიდან და მიეცეს პასუხისგებაში.

3. წალკის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ტერსენოვს კიარიაკის რუსული 8-წლიანი სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობისა და სამეურნეო საქმიანობის უყურადღებობისათვის მიეთითოს.

4. კიარიაკის 8-წლიანი სკოლის დირექტორის მოვალეობის შესრულება დაეკისროს იმავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს დამოვცევს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. კუპრაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 4026

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 23 ოქტომბერი

გურჯაანის რაიონის ველისციხის საშუალო და მოზრდილთა საშუალო სკოლების სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ გურჯაანის რაიონის ველისციხის საშუალო (დირექტორი ივ. ბურულაშვილი) და მოზრდილთა საშუალო (დირექტორი ი. კერესელიძე) სკოლებში სუსტად არის დაყენებული სასწავლო საალმზრდელო მუშაობა.

ველისციხის მოზრდილთა საშუალო სკოლას ცუდად აქვს შედგენილი გაკვეთილების სამეცადინო ცხრილი, ცხრილში რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები პირველ სამ დღეზეა განაწილებული, ზოგ შემთხვევაში კი ფიზიკისა და ალგებრის საათები უკანასკნელ გაკვეთილებად არის შეტანილი. ასეთივე მდგომარეობა არის ველისციხის საშუალო სკოლაშიც, ცხრილში ალგებრის, ფიზიკისა და ქიმიის საათები მე-8—9 კლასში მეექვსე გაკვეთილებად არის შეტანილი.

მოზრდილთა საშუალო სკოლის მოსწავლეები არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით. 27 სექტემბრისათვის მოსწავლეებს შეძენილი არ ჰქონდათ არც ერთი სახელმძღვანელო ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მე-5 კლასი), ძველი მსოფლიოს ისტორიაში (მე-5—6 კლასი), გერმანულ ენაში (ყველა კლასი), ქიმიაში (ყველა კლასი), ბოტანიკაში (მე-5—6 კლასი), ზოოლოგიაში (მე 5—6 კლასი), კონსტიტუციაში (მე-8 კლასი) და სხვ.

ველისციხის მოზრდილთა საშუალო სკოლაში 1949—1950 სასწავლო წელს მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების ჟურნალებში ადგილი ჰქონდა მეოთხედურ და საგამოცდო შეფასების ნიშნების გადასწორების ხშირ შემთხვევებს, ასე, მაგალითად, მე-6 კლასში ნიშანი „2“ გადასწორებულია „3“-ად ხუთ შემ-

თხვევაში; მე-8 კლასში ნიშანი „2“ გადასწორებულია „3“-ად ოთხ შემთხვევაში და მე-7 კლასში—სამ შემთხვევაში. ასეთივე მდგომარეობაა თითქმის ყველა კლასში. ველისციხის საშუალო სკოლაში ნიშნების გადასწორების საქმეში მსგავს შემთხვევებს აქვს ადგილი. მაგალითად, მე-9 კლასში ნიშანი „2“ „3“-ად გადასწორებულია 9 შემთხვევაში, მე-10 კლასში—6 შემთხვევაში, მე-5 კლასში 9 შემთხვევაში, მე-6 კლასში—5 შემთხვევაში და სხვ. ამ სკოლის მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების ჟურნალებში არსად არ არის დირექტორის ხელის მოწერა მოსწავლეთა გადაყვანისა ან იმავე კლასში დატოვების შესახებ.

მოზრდილთა საშუალო სკოლის საკლასო ჟურნალებში სისტემატურად არ შეაქვთ გავლილი მასალები, არ იწერება მიმდინარე შეფასების ნიშნები, ჟურნალში ჩანაწერები ხშირად უსუფთაოა და სხვ.

აღნიშნულ სკოლებში მასწავლებელთა ერთი ნაწილი მოსწავლეებს სისტემატურად იყენებს საკუთარ მეურნეობაში სამუშაოდ (ხვნა-თესვა, სიმინდის თოხნა, ვენახში მუშაობა და სხვ.) ასე, მაგალითად, მოზრდილთა საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელმა სერგო მარიკაშვილმა ა/წ 7 სექტემბერს თავის მოსწავლეს შ. ბეციაშვილს დაავალა გაერეცხა მისი ორასი ფუთის ტევადობის ქვევრი. მოსწავლე ბეციაშვილი ამ დავალების შესრულებისას მოიწამლა ქვევრში დაგროვილი გაზებით (ნახშირორჟანგით) და ოთხი დღის შემდეგ გარდაიცვალა. მასწ. მარიკაშვილი სხვა დროსაც ხშირად იყენებდა მოსწავლეებს თავის ვენახში სამუშაოდ. საკუთარ მეურნეობაში მოსწავლეთა შრომის გამოყენებას დანარჩენი მასწავლებლებიც მიმართავდნენ.

სკოლის მუშაკთა მხრივ უპასუხისმგებლობის მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ა/წ 8 მაისს ველისციხის საშუალო სკოლის ექიმმა გ. კევლიშვილმა ცუდად გაუკეთა ნემსი ამავე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეს გურამ ვასილის-ძე შალაშვილს, რის შედეგადაც მოსწავლე შალაშვილი გარდაიცვალა. სკოლაში მომხდარი ფაქტის შესახებ კი სკოლის დირექტორს განათლების სამინისტროსათვის არ უცნობებია.

აღნიშნულ სკოლებში ადგილი აქვს მასწავლებელთა მიერ თავისივე მოსწავლეების მომზადებას გასამრჯელოს აღებით. მაგალითად, მასწ. ს. მარიკაშვილი და მისი ცოლი ს. ვარადაშვილი სისტემატურად ამზადებდნენ მისავე მოსწავლეებს და ახდევინებდნენ ფულს. ასევე იქცეოდნენ მასწ. ი. გუგულაშვილი, ჟ. სამნიაშვილი, ბ. კარაპეტოვი და სხვ. აღნიშნული მასწავლებლები მოსწავლეთა ცოდნის

შეფასების საქმეში იჩენდნენ ტენდენციურობას და ლიბერალიზმს. მაგალითად, ველისციხის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეს მარიამ ნასყიდას ასულ ნესუაშვილს ჰქონდა საშემოდგომო გამოცდა ალგებრაში და ამავე კლასის მოსწავლეს გ. შალაშვილს რუსულ ენაში. ა/წ 25 აგვისტოს საგამოცდო კომისიამ მოსწავლე მ. ნესუაშვილს ალგებრაში და გ. შალაშვილს რუსულ ენაში დაუწერა ნიშანი „2“, რის შედეგადაც პედაგოგიურმა საბჭომ აღნიშნული მოსწავლეები დატოვა იმავე კლასში. ა/წ 30 აგვისტოს პედაგოგიური საბჭოს დადგენილების შემდეგ, გამომცდელ მასწავლებელმა ი. გუგულაშვილმა განცხადება დასწერა, რომ მას ნიშნების გადაწერის დროს დაშვებული აქვს ტექნიკური შეცდომა და მოითხოვა ალგებრაში მოსწავლე ნესუაშვილის ნიშნის „3“-ზე გადაკეთება. ასევე მოიქცა მასწავლებელი ს. მარიკაშვილიც. სკოლის დირექტორი ი. ბერულაშვილი დაეყრდნო მასწავლებელ გუგულაშვილისა და მარიკაშვილის განცხადებებს და მოსწავლეები გადაიყვანა შემდეგ კლასში.

იმავე გუგულაშვილმა მოსწავლე მ. მირზოევს ალგებრაში დაუწერა „2“ იმის გამო, რომ მოსწავლემ ვერ გადაუხადა მას 200 მანეთი. განათლების განყოფილების მიერ გამოყოფილ კომისიას აღნიშნულმა მოსწავლემ საგანი დამაკმაყოფილებლად ჩააბარა და გადაყვანილი იქნა შემდეგ კლასში. საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეები ამხ. ამხ. ბ. ჭიჭიკოშვილი და ნ. უზუნაშვილი, რომელთათვისაც ცნობილი იყო ყველა ზემოხსენებული ფაქტი არავითარ ზომებს არ ღებულობდნენ იმ მასწავლებლების მიმართ, რომლებიც თავიანთ საგნებში ამზადებდნენ მოსწავლეებს და იღებდნენ გასამრჯელოს.

სწავლების ცუდი ხარისხის გამო გასულ სასწავლო წელს ველისციხის საშუალო სკოლაში დაბალი იყო მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, 1266 მოსწავლიდან 262 მოსწავლე იმავე კლასში იქნა დატოვებული, რაც 20,6%-ს შეადგენს.

აღნიშნულ სკოლებში მოუწესრიგებელია მასწავლებელთა პირადი საქმე: მასწავლებელთა ცენზისა და სტაჟის საბუთები ან სრულებით არ არის (ბ. ბულანინი და სხვ.) ან წარმოდგენილია სასოფლო საბჭოს და არა ნოტარიუსის მიერ შემოწმებული საბუთები. აღნიშნული ქაოტიური მდგომარეობის გამო ს. მარიკაშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს 7 კლასი, ასწავლის რუსულ ენას და ლიტერატურას საშუალო სკოლის მე-7—8 კლასში და მოზრდილთა საშუალო სკოლის მე-9 კლასში.

მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორი ი. კერესელიძისათვის ცნობილი იყო აღნიშნული დამახინჯებანი სკოლაში, მაგრამ ამის წინააღმდეგ მას არავითარი ზომები არ მიუღია, იგი თავის საკუთარ მეურნეობაში მუშაობით იყო გადატვირთული.

სრულიად შეუფერებელია ველისციხის საშუალო სკოლის შენობები. ბინის უქონლობის გამო მოსწავლეთა ერთი ნაწილი დარაბებში მეცადინეობს. სასკოლო შენობებს არ აქვს ეზო და მოსწავლეებს ქუჩაში უხდებათ თამაში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ველისციხის მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორი ი. კერესელიძე, რომელიც მოუმზადებელი შეხვდა ახალ სასწავლო წელს, თავის პირად მეურნეობაში მუშაობის გამო დრო არ ჰყოფნის სკოლისათვის და ამიტომ სუსტად ხელმძღვანელობს სკოლის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობას, რასაც შედეგად მოჰყვა, კერძოდ ამ სკოლაში არსებული პრაქტიკა, მასწავლებლების მიერ თავის მოსწავლეების სასყიდლით მომზადება—მოიხსნას თანამდებობიდან.

2. ველისციხის მოზრდილთა და საშუალო სკოლების მასწავლებელი ს. მარიკაშვილი, მასწავლებლობისათვის შეუფერებელი მოქმედებისათვის რაც გამოიხატა საკუთარ მეურნეობაში მოსწავლეთა შრომის გამოყენებაში, რასაც შედეგად მოჰყვა მოსწავლე შ. ბეციაშვილის დაღუპვა,—მოიხსნას მასწავლებლობის თანამდებობიდან.

3. ველისციხის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ი. გუგულაშვილი, რომელიც სისტემატურად ამზადებდა თავისივე მოსწავლეებს საფასურის გადახდევინებით—მოიხსნას მასწავლებლობიდან და გამოყენებული იქნეს სხვა რაიონში.

4. ამავე სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს ს. ვარადაშვილს, რომელმაც იცოდა თავისი ქმრის, ს. მარიკაშვილის არაპედაგოგიური მოქმედების შესახებ, რაც გამოიხატა მოსწავლეთა შრომის თავის საკუთარ მეურნეობაში გამოყენებაში და ხელი შეუწყო მას, რასაც მოჰყვა მოსწ. ბეციაშვილის დაღუპვა,—გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

5. ველისციხის საშუალო სკოლის დირექტორს ი. ბურულაშვილს, სკოლის მოსწავლეთა ცოდნის არაობიექტური შეფასებისა, მოსწავლეთა შეფასების ნიშნების გადასწორებისა და მასწავლებელთა შუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის—გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

6. სასწავლო ნაწილის გამგეებს, ამხ. ამს. ბ. ჭიჭიკოშვილს და ნ. უზუნაშვილს, რომელთაც იცოდნენ სკოლაში შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობის შესახებ და თავის დროზე არ ამხილეს ეს, გამოეცხადოთ საყვედური.

7. მასწავლებლებს ჟ. სამნიაშვილს და ბ. კარაპეტოვს, რომლებიც საფასურის გადახდით ამზადებენ მოსწავლეებს—გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

8. მასალები ველისციხის საშუალო სკოლის ყოფილი ექიმის გულნარა კევლიშვილის შესახებ, რომელსაც ბრალად ედება დაუდევრობის შედეგად აღნიშნული სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის გურამ ვასილის-ძე შალაშვილის დაღუპვა—გადაეცეს საქართველოს სსრ პროკურორს.

9. დაევალოს გურჯაანის განათლების განყოფ. გამგეს ამხ. გ. ვარდიაშვილს:

ა) მიიღოს გადამჭრელი ზომები მასწავლებელთა მიერ თავის საგანში მოსწავლეთა მომზადების მანკიერი პრაქტიკის ერთხელ და სამუდამოდ აღსაკვეთად.

ბ) მკაცრი ზომები მიიღოს იმ მასწავლებელთა მიმართ, რომელნიც ეწევიან პირად მეურნეობაში მოსწავლეთა შრომის გამოყენებას.

გ) ერთი თვის ვადაში უზრუნველჰყოს რაიონის სკოლებში მასწავლებელთა პირადი საქმეების საბუთების ნოტარიალური წესით გაფორმება.

9. დაევალოს საშუალო სკოლის სამმართველოს და მოზრდილთა და მუშა-ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებას სასწავლო წლის მეორე მეოთხედში შეისწავლონ ველისციხის მოზრდილთა და საშუალო სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა და შედეგები მოახსენონ კოლეგიას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
მ. ბ ურ ჭ ულ ა ძ ე

1950 წლის 20 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდური მითითებანი წერითი მუშაობის რაოდენობისა და სახეების შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში არაქართულ სკოლებში

არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება წერითი მეტყველების კულტურის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას, მის განვითარებასა და განმტკიცებას. ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ, რამდენჯერ და რა სახის წერითი სამუშაოები ჩატარდება სკოლაში.

დაწყებითი კლასებში მოსწავლეებს უნდა მიეცეთ სუფთა წერის მტკიცე ჩვევები; თითოეული ასოს სწორი მოხაზულობა და გადაბმის ძირითადი წესები მოსწავლემ უნდა დასძლიოს II—IV კალსებში. სუფთა წერა ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს შემდეგ საფეხურზედაც, განსაკუთრებით V—VIII კლასებში, სადაც მთავარი ყურადღება მართლწერის ჩვევების გამომუშავებას ექცევა.

ქართული მართლწერის დაძლევა დიდად არის დაკავშირებული გრამატიკის შესწავლასთან. ქართული მართლწერის ელემენტები გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებით მოსწავლეს ეცნობა მე-5 კლასიდან (მაგ. ორი „მ“ და ორი „ს“ ხმარება სახელებში, ორი „ვ“ ხმარება ზმნებში და სხვ.). უფრო სრულად მართლწერის საკითხები შემდეგ კლასებში ისწავლება. ამ საფეხურზე მოსწავლემ მართლწერის მტკიცე ჩვევები უნდა მიიღოს, მან უნდა დასძლიოს ფონეტიკური ხასიათის სიძნელეებიც ქართულ წერაში. წერითი მუშაობის სახეებიც ძირითადად ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

მე-9, 10, 11 კლასებში წერითი მუშაობის უფრო რთული სახეები უნდა გამოვიყენოთ. ასეთებია შინაარსის გადმოცემა, გმირის თავგადასავალისა და თხზულების წერა. ცხადია, ამ საფეხურზე გამორიცხული არ არის მართლწერის გამომუშავების მიზნით გრამატიკული ხასიათის სამუშაოების ჩატარებაც, თუ კლასის მომზადება ამას მოითხოვს.

შინაარსის გადმოცემა, გმირის თავგადასავალისა და თხზულების წერა წერითი მუშაობის რთული სახეებია და იგი მოითხოვს

მასწავლებლისაგან დიდ პედაგოგიურ ოსტატობას. განსაკუთრებით საჭიროა აქ თანდათანობის დაცვა. რვაწლიან სკოლაში მართლწერის სავარჯიშოების გვერდით წერითი მუშაობის ისეთი სახეებიც უნდა იქნას შეტანილი, როგორიც არის კითხვებზე პასუხის გაცემა. კითხვა-პასუხი ზემო დასახელებულ სახეებისათვის მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენს.

დანიშნულების მიხედვით წერა ორი სახისაა: სავარჯიშო წერა და საკონტროლო წერა. სავარჯიშო წერა აძლევს მოსწავლეს ჩვევათა გარკვეულ ჯამს, ამტკიცებს ჩვევებს. ერთია ცოდნა იმისა, რომ ზოგიერთ არსებით სახელს მოთხრობით ბრუნვაში ორი „მ“ მოუდის ერთად, მეორეა კი იმის ჩვევის მიღება, რომ საჭირო შემთხვევაში ეს ორი „მ“ უყოყმანოდ დაწერო. აი, ამ ჩვევის მისაღებად საჭიროა გარკვეული ვარჯიშობა პირველად მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით, შემდეგ კი—დამოუკიდებლადაც. სავარჯიშო წერა სხვადასხვა სახის შეიძლება ჩატარდეს. მისი მთავარი სახეებია: საკლასო-სავარჯიშო წერა, რომელიც ტარდება კლასში მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით და საშინაო სავარჯიშო წერა, რომელსაც მოსწავლე მასწავლებლის დავალებით სახლში ასრულებს დამოუკიდებლად და რომელიც წარმოადგენს საკლასო სავარჯიშო წერის ბუნებრივ გაგრძელებას მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველი კეთდება კლასში მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ, მეორე კი—სახლში დამოუკიდებლად.

საკონტროლო წერა ამოწმებს მიღებულ ჩვევათა სიმტკიცეს და ამიტომ იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება არეულ იქნას სხვა სახის წერასთან. მას წინ უსწრებს სავარჯიშო წერითი სამუშაო საკმაო რაოდენობით. ასეთი ვარჯიშის გარეშე საკონტროლო წერა კარგავს თავის პირდაპირ დანიშნულებას.

ყველა საკონტროლო წერა ტარდება მხოლოდ და მხოლოდ კლასში, მასწავლებლის უშუალო კონტროლისა და მეთვალყურეობის ქვეშ, ყოველგვარი დახმარების გარეშე.

წერითი მუშაობის ხანგრძლივობა თითოეულ კლასში

არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლება იწყება მე-2 კლასიდან. ამ კლასში წინასაანბანო ლექსიკურ გაკვეთილებს დათმობილი აქვს 15—20 საათი. ამიტომ წერა-კითხვაზე გადასვლის შემდეგ იწყება წერითი სამუშაოც. მე-2 კლასში ტარდება მხოლოდ საკლასო წერა მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით. საშინაო და საკონტროლო წერა იწყება მე-3 კლასში.

წლის მეორე ნახევრიდან საკლასო წერა შემდეგი ხანგრძლივობით უნდა ჩატარდეს თითოეულ კლასში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე- 2	კლასში	10—15 წუთი[1]
მე- 3	„	10—15 „
მე- 4	„	15—20 „
მე- 5	„	15—20 „
მე- 6	„	15—20 „
მე- 7	„	20—25 „
მე- 8	„	25—30 „
მე- 9	„	25—30 „
მე-10	„	25—30 „
მე-11	„	25—30 „

საკონტროლო წერას შესაძლებელია 5—7 წუთით მეტი დრო მოვანდომოთ. მე-9, 10, 11 კლასებში საჭირო შემთხვევაში სკოლის დირექციასთან შეთანხმებით შეიძლება გამოიყოს ორი დაწყვილებული აკადემიური საათიც.

წერითი მუშაობის რაოდენობა თითოეულ კლასში

მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად საჭიროა თითოეულ კლასში საკლასო და საკონტროლო წერა დაახლოებით შემდეგი რაოდენობით ჩატარდეს:

	საკლასო წერა		საკონტროლო წერა	
მე-2	კლასში	კვირაში ორჯერ	არ ტარდება	
მე-3	„	„	თვეში ორჯერ	
მე-4	„	„	„	„
მე-5	„	„	თვეში სამჯერ	
მე-6	„	„	„	„
მე-7	„	„	„	„
მე-8	„	„	თვეში სამჯერ	
მე-9	კლასში	მეოთხედში ოთხჯერ	მეოთხედში ორჯერ	
მე-10	„	„ „	„	„
მე-11	„	„ „	„	„

წერითი მუშაობის მოცულობა და სახეები თითოეულ კლასში

წერითი მუშაობის სახეები უნდა იყოს მრავალფეროვანი, მოცულობითა და სიძნელე-სიადვილის მიხედვით სავსებით შესაფერი

[1] ამაში არ შედის წერისათვის მოსამზადებელი მუშაობა ყველა კლასში.

თითოეული კლასის მოსწავლეთა ასაკისათვის, ზუსტად უნდა იყოს დაცული თანდათანობით გადასვლა ადვილიდან ძნელზე, მარტივიდან რთულზე. უმნიშვნელო არაა ნაწერის მოცულობის ნორმის დადგენაც თითოეული კლასისათვის. ამიტომ ქვემოთ მოცემულია მოცულობის ნორმები თითოეული კლასისათვის კარნახში, კითხვა-პასუხში და შინაარსის გადმოცემაში. ოფიციალური პროგრამით, გაფრთხილებითი და სმენითი კარნახი იწყება მეოთხე კლასიდან და გრძელდება საშუალო სკოლის დამთავრებამდის. თითოეული კლასისათვის საკარნახო სიტყვათა დაახლოებით შემდეგი რაოდენობა უნდა ვივარაუდოთ:

მე- 4	კლასისათვის	10—20 სიტყვა
მე- 5	„	20—30 „
მე- 6	„	30—40 „
მე- 7	„	40—50 „
მე- 8	„	50—60 „
მე- 9	„	60—70 „
მე-10	„	70—80 „
მე-11	„	80—90 „

გარკვეული მიზნის მიხედვით ტარდება სხვადასხვა სახის კარნახი. საკარნახო ტექსტი კარგად უნდა იყოს შერჩეული და აუცილებლად უნდა შეეფარდებოდეს გაკვეთილის მიზანდასახულობას.

კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორც წერის სახე შემოღებულია მესამე კლასიდან და სხვადასხვა სახით გრძელდება მე-4, 5, 6 კლასებში. წერითი მუშაობის ამ სახის გამოყენება სასარგებლო იქნება მე-7—8 კლასებშიაც, სადაც იგი უფრო რთულ სახეს მიიღებს და გააადვილებს შინაარსის წერილობით გადმოცემაზე გადასვლას. ასეთ წერით მუშაობას წინ უნდა უსწრებდეს საფუძვლიანი მომზადება. კითხვები მოფიქრებული და ნათელი უნდა იყოს, ორაზროვანი ან ბუნდოვანი კითხვა დაუშვებელია. კითხვებზე პასუხი შეიძლება ამოღებული იქნას წიგნიდან უცვლელად, მზამზარეულად (ამ შემთხვევაში მოსწავლეს ევალება მხოლოდ პასუხი მოძებნოს მოთხრობაში. ეს წიგნზე მუშაობის ერთ-ერთი სასარგებლო სახეა), შეიძლება მოსწავლემ პასუხი თვითონ შეადგინოს ტექსტის მოშველიებით. აქ მოსწავლე ეჩვევა დამოუკიდებლად წიგნით სარგებლობას. ეს სახე, ცხადია, უფრო რთულია, ვიდრე პირველი და ამიტომ მოითხოვს წინასწარ მეტ მომზადებას, დაბოლოს შეიძლება პასუხი თვითონ მოსწავლემ შეადგინოს ზეპირად. ეს სახე კიდევ უფრო ძნელია ვიდრე წიგნის დახმარებით პასუხის გაცემა. აქ

სხვა სიძნელესთან ერთად თავს იჩენს სიტყვების მართლწერის საკითხიც. კლასების მიხედვით შეიძლება გავითვალისწინოთ კითხვათა შემდეგი რაოდენობა:

მე-3 კლასისათვის	1—3 კითხვა
მე-4 „	3—5 „
მე-5 „	5—7 „
მე-6 „	5—7 „
მე-7 „	5—8 „
მე-8 „	5—10 „

დამუშავებული მოთხრობის მოკლე შინაარსის გადმოცემა გეგმის მიხედვით მე-7 კლასიდან იწყება. მე-7—8 კლასებში შინაარსის გადმოცემისათვის საკმარისია რვეულის ნახევარი გვერდიდან ერთ გვერდამდის, ხოლო მე-9—10—11 კლასებში კი რვეულის ერთი გვერდიდან ორ გვერდამდის.

„წერა დაწყებით სკოლაში (მე-2—4 კლ.) ემსახურება შემდეგ პრაქტიკულ მიზანს: მოსწავლემ მტკიცედ უნდა შეითვისოს ქართული ასოების სწორი დაწერილობა, გაიცნოს გადაბმის წესები და შეძლოს დაფიდან და წიგნიდან ლამაზად და სწორად გადმოწერა. წერა საშუალო სკოლაში (მე-5—11 კლ.) კი, აღრმავებს რა დაწყებით სკოლაში მიღებულ ჩვევებს, მიზნად ისახავს ქართულ მართლწერის გაცნობა-განმტკიცებას, უმუშავებს ჩვევებს, რომ მოსწავლეებმა თავისუფლად შესძლონ თავიანთი აზრის წერილობით გადმოცემა სწორი ქართული ენით“, ასე განსაზღვრავს წერის მიზანდასახულებას ოფიციალური პროგრამა. ამის საფუძველზე პროგრამაში თითოეული კლასისათვის გათვალისწინებულია წერის ძირითადი სახეები, რომელთა შორის ძირითადია:

მე-2 კლასი—ამ კლასში წერითი მუშაობის ძირითადი სახეა დაფიდან სხვადასხვა სახის გადმოწერა (წიგნიდან გადმოწერა დასაშვები არ არის იმიტომ, რომ მოსწავლეებს ქართული ასოების სწორი მოხაზულობა ჯერ კიდევ მტკიცედ შეთვისებული არა აქვთ და ამიტომ წიგნიდან გადმოწერის დროს მოსალოდნელია ქართული ასოების მოხაზულობის დამახინჯება).

1. ოთხხაზიან რვეულში ცალკეული ასოების გადმოწერა დაფიდან;
2. ცალკეული სიტყვის გადმოწერა დაფიდან;
3. წინადადების გადმოწერა დაფიდან;
4. საკუთარი სახელისა და გვარის სწორად დაწერა.
5. პატარა ლექსის (ოთხსტრიქონიანი) გადმოწერა დაფიდან გადაუბმელი ასოებით, სწორად და ლამაზად.

6. პატარა მოთხრობის (3—5 წინადადებისაგან შემდგარი) გადმოწერა დაფიდან გადაუბმელი ასოებით სწორად და ლამაზად.

7. მოსმენით წერა ისეთი ცალკეული სიტყვებისა, რომლებშიაც ქართული სპეციფიკური ბგერები არ არის, მაგ. მამა, დედა, ხელი, რვეული, ურემი და სხვა (სამი-ხუთი სიტყვა).

8. მოსმენით წერა ისეთი ორ-სამსიტყვიანი წინადადების, რომელიც შედგება ადვილი სიტყვებისაგან. მაგ. აი მამა, აი ახალი რვეული და სხვა (ერთი-ორი წინადადება).

მე-3 კლასი — ამ კლასში წერითი მუშაობის ძირითადი სახეა წიგნიდან სხვადასხვა სახის გადმოწერა. თავისთავად ცხადია, დაფიდან გადმოწერაც გრძელდება. ამას ემატება კიდევ ქართული ასოების გადაბმის ძირითადი წესების გაცნობა (III კლასში ასოების გადაბმის ძირითადი წესების გაცნობის შემდეგ საკმაოდ უნდა ვავარჯიშოდ გადაბმის ჩვევების გამოსამუშავებლად და მხოლოდ შემდეგ დავავალოთ გადაბმული ასოებით დამოუკიდებლად წერა).

მესამე კლასში შემდეგი სახის წერითი მუშაობა უნდა ჩატარდეს:

1. წყვილეული ასოს გადაბმულად;

2. ცალკეული სიტყვის გადმოწერა დაფიდან ასოების გადაბმით;

3. წინადადების გადმოწერა დაფიდან ასოების გადაბმით;

4. დამუშავებული პატარა ლექსის სწორად და ლამაზად გადმოწერა დაფიდან.

5. დამუშავებული პატარა მოთხრობის გადმოწერა დაფიდან სწორად და ლამაზად, აბზაცების დაცვით.

6. ცალკეული სიტყვისა და მოკლე წინადადების გადმოწერა წიგნიდან სწორად და ლამაზად.

7. დამუშავებული პატარა ლექსისა და მოთხრობის გადმოწერა წიგნიდან აბზაცის დაცვით.

8. დამუშავებული მასალიდან საჭირო ადგილების ამოწერა კალიგრაფიის წესების დაცვით.

9. დასმულ კითხვაზე პასუხის ამოწერა წიგნიდან.

10. მარტივ კითხვებზე წერილობითი პასუხის გაცემა კალიგრაფიის წესების დაცვით.

11. ადვილად წარმოსათქმელი ცალკეული სიტყვისა და მოკლე წინადადების ზეპირად წერა (დაწერის წინ მოსწავლეს შეუძლია წიგნში ნახოს მათი მართლწერა).

12. მოსმენით წერა ფონეტიკურად ძნელი ცალკეული სიტყვებისა.

მე-4 კლასი—1. წაკითხულიდან საჭირო ადგილების ამოწერა მასწავლებლის მითითებით.

2. კოლექტიურად შედგენილი მოთხრობის გეგმის გადმოწერა დაფიდან.

3. სურათის მიხედვით კოლექტიურად შედგენილი მოთხრობის გადმოწერა დაფიდან.

4. მარტივი სურათის შინაარსის დამოუკიდებლად შედგენა წერილობით, პატარა მოთხრობის სახით (სამი-ხუთი წინადადება).

5. დასწავლილი პატარა ლექსის (ოთხსტრიქონიანი) ზეპირად წერა.

6. მარტივ წინადადებათა დამთავრება (გავრცობა) კითხვების საშუალებით.

7. მოსმენით წერა ისეთ მოკლე წინადადებათა (2—3 წინადადება), რომლებშიც ფონეტიკურად ძნელი სიტყვებია.

9. გაფრთხილებითი და სმენითი კარნახი.

10. ახალ სიტყვათა ლექსიკონის შედგენა (მასწ. ხელმძღვანელობით).

11. მოთხრობის მიხედვით კითხვა-პასუხი წერილობით.

12. მისამართის სწორად დაწერა.

მე-5 კლასი—1. დამუშავებული მასალიდან საინტერესო ადგილების გადმოწერა წიგნიდან გადაბმული ასოებით, აბზაცების დაცვით.

2. უცნობი სიტყვების ამოწერა და განმარტების მიწერა (მასწ. დახმარებით).

3. კითხვა-პასუხი.

4. დამუშავებული მოთხრობის მარტივი გეგმის შედგენა (კითხვების სახით) და მისი ჩაწერა.

5. მარტივი ანკეტის შევსება.

6. მოსწავლეთა სიის შედგენა ქართული ანბანის რიგზე.

7. სხვადასხვა სახის ფონეტიკური ხასიათის კარნახი: მხედველობით-სმენითის, სმენით-გაფრთხილებითი, სმენითი, გაფრთხილებით-მხედველობითი და სხვა.

8. სხვადასხვა სახის გრამატიკული ხასიათის სავარჯიშოები;

მე-6 კლასი—1. დამუშავებული მასალიდან შერჩეული ადგილების (ციტატების) ამოწერა კალიგრაფიის წესების დაცვით.

2. შესწავლილი ლექსის ზეპირად წერა.

3. დამუშავებული მოთხრობის შინაარსის მიმართ კითხვების დასმა.

4. დამუშავებული მოთხრობის მარტივი გეგმის შედგენა.

5. გრამატიკული სახის სავარჯიშო.

6. კარნახი.

მე-7—8 კლასები:

1. მოთხრობის მთავარ მოქმედ პირთა დამახასიათებელი ადგილების ამოწერა.

2. სურათის აღწერა.

3. დამუშავებული მოთხრობის მარტივი და რთული გეგმის შედგენა.

4. მოცემული გეგმის მიხედვით დამუშავებული მოთხრობის მოკლე შინაარსის გადმოცემა.

5. სხვადასხვა სახის კარნახი.

6. სხვადასხვა სახის გრამატიკული ხასიათის სავარჯიშოები:

7. დეპეშის ტექსტის შედგენა;

8. ხელწერილის შედგენა.

მე-9—10—11 კლასი.

ამ კლასებში წერითი მუშაობის ძირითად სახედ უნდა ჩაითვალოს მოთხრობის (ან მისი ნაწილის) შინაარსისა და გმირის თავგადასავალის გადმოცემა; სხვადასხვა სახის კარნახი და გრამატიკული ხასიათის სავარჯიშო; თარგმნა ქართულიდან მშობლიურზე და მშობლიურიდან ქართულზე. სხვადასხვა სახის საქმიანი ქაღალდების შედგენა.

მოთხრობის შინაარსის გადმოცემისათვის საჭიროა გეგმის შედგენა, რაც განსაკუთრებული ყურადღებითა და თანდანობით უნდა ტარდებოდეს (მოთხრობის გეგმის შედგენა კოლექტიურად, ინდივიდუალურად, წიგნის გამოყენებით, უწიგნოდ, მარტივი და რთული გეგმის შედგენა და სხვ.), რის შემდეგ შეიძლება გადასვლა სხვადასხვა სახის შინაარსის გადმოცემაზე.

დაწყებითი და საშუალო სკოლის
სამმართველოს უფროსი **უშ. ოგოლაძე**

სასწავლო-მეთოდური განყ-ბის
უფროსი **გრ. ბარამიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე. 6/168

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
პ/მგ. გამოშვებისათვის დავ. გიორგაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XI 1950 წ. უე17910. ანაწყობის ზომა 6X10
შეკვეთის № 2313. ტირაჟი 3.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.